„კოალიცია თანასწორობისთვის“ დამოუკიდებელ ინსპექტორს სერგო მეთოფიშვილის მხრიდან დისკრიმინაციული და სტიგმის გამაძლიერებელი მოსაზრების გამოხატვის საკითხის შესწავლისკენ მოუწოდებს

სერგო მეთოფიშვილმა სოციალურ ქსელ Facebook-ში კამპანია Ḍ□□□□□ ვენდო სასამართლოს □ ვიდეორგოლზე საუბრისას ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები დისკრიმინაციულ კონტექსტში მოიხსენია. მან ფსიქოსოციალური საჭიროება გაათანაბრა ისეთ უარყოფით ადამიანურ თვისებასთან, როგორიც ტყუილია და ამით ხელი შეუწყო ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას. კოალიცია მიიჩნევს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის მიერ გაკეთებული შეფასება უკიდურესად შემაშფოთებელია, რადგან აღრმავებს ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირების მიმართ საზოგადოებაში არსებულ სტიგმას და ახალისებს არაეთიკურ, ხშირად, სასტიკ დამოკიდებულებას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირების მიმართ.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანები წლებია განიცდიან უდიდეს ზეწოლას და

გარიყულნი არიან საზოგადოების მხრიდან, რაც განპირობებულია სწორედ ქვეყანაში ადამიანის ღირსებისა და მისი უფლებების პატივისცემაზე არაორიენტირებული მიდგომებისა და პოლიტიკის არსებობით. სტიგმატიზირებული ჯგუფების გარანტს დარღვეული უფლების აღდგენის მიმართულებით, სწორედ სასამართლო კორპუსი წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში კი, მართლმსაჯულების ორგანოს წარმომადგენელი თავად გვევლინება საზოგადოებაში ფესვგადგმული სტიგმის წამახალისებლად, რაც უკიდურესად საგანგაშოა.

ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ მოსამართლის ქცევა, როგორც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ისე სხვა საქმიანობის განხორციელების დროს, წარმოადგენს საზოგადოების სასამართლოსადმი ნდობის და სასამართლო ავტორიტეტის განმტკიცების მნიშვნელოვან საფუძველს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შესაბამისი უწყებების მხრიდან საკითხს მიეცეს სათანადო რეაგირება.

კანონმდებლობის თანახმად, მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა. ხოლო სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად, მოსამართლე უნდა უფრთხილდებოდეს მართლმსაჯულების პრესტიჟს და სასამართლო შენობაში თუ მის გარეთ არ იქცეოდეს სასამართლოს ავტორიტეტისა და მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებლად. მოსამართლემ თავის განცხადებაში უნდა გამოიჩინოს სათანადო კორექტულობა, არ გამოიყენოს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი სიტყვები და გამოთქმები ან დისკრიმინაციული ტერმინოლოგია.

Ď□□□□□□□ თანასწორობისთვის □ დამოუკიდებელ ინსპექტორს მოუწოდებს დაიწყოს საბჭოს მოსამართლე წევრის, სერგო მეთოფიშვილის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება დისკრიმინაციული და სტიგმის გამაღრმავებელი მოსაზრების გამოთქმის გამო.

,,კოალიცია თანასწორობისთვის"

Ą□ოალიცია თანასწორობისთვის □ᵃრაფორმალური გაერთიანებაა, რომელიც *2014* წელს ფონდ ღ□ია საზოგადოება - საქართველოს □ᵇელშეწყობით შეიქმნა და ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის წევრები არიან: ფონდი ᶜ□ია საზოგადოება - საქართველო □□ᵃᵈᵃᵐიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი *(EMC)* ᴀ□ᴋᴏ,ᴏᴎᴄᴛᴉᴛᴜᴚᴉᴉᴓ *42*-ᴇ მუხლი □ᴚᴀᴚᴜᴓᴉᴓ □□ᴓᴀᴓᴉ □□ᴓᴀᴓᴉ □□ᴓᴀᴓᴉ

პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის *(PHR)* ,,საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა *(GDI)"* და ,,ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი *(TDI)."*